„ცენტრისა და მუნიციპალიტეტების ურთიერთობა, თვითმმართველობის საკითხი - ძალაუფლების განაწილება“

დავითი ესათია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოუქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავითი ესათია

აბრევიატურების და ტერმინების განმარტება

დეცენტრალიზაცია - მმართველობის ისეთი მოდელი, სადაც კომპეტენციები და ფუნქციები ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივი ხელისუფლების დონეებზეა გადაცემული (Democracy at the level T.D Sisk. IDEA.2001)

დეკონცენტრაცია - ცენტრალური მთავრობის უწყებებს ადგილებზე აქვთ ტერიტორიული ერთეულები, რომელთა მეშვეობით განაგებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს (Democracy at the level T.D Sisk. IDEA.2001)

PAR - საჯარო მმართველობის რეფორმა

OGP - ღია მმართველობის პარტნიორობა

OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

SIGMA - OECD-ის მმართველობისა და მენეჯმენტის ხელშეწყობის პროგრამა

ISSA - კვლევა მომზადებულია სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

CSI - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის

აბსტრაქტი

წლებია დეცენტრალიზაცია განიხილება, როგორც მძლავრი ინსტრუმენტი ადამიანებისა და სახელმწიფოს გასაძლიერებლად. როდესაც ძალაუფლება კონცენტრირებულია ცენტრში, იკარგება უამრავი შესაძლებლობა. ეს არის მმართველობის წარუმატებლობა, როდესაც იქმნება ძალაუფლების ვაკუუმი ერთ ცენტრში.

დღეს ევროკავშირში გაწევრიანების დღის წესრიგიდან გამომდინარე განსაკუთრებით მიზანშეწონილია ამ საკითხზე მუშაობა.

ნაშრომში მოკლედ მიმოხილულია თვითმმართველობის წარმოშობა, ნაჩვენებია პირველი თვითმმართველობები და საქართველოს ტრადიცია, რათა ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით მოხდეს ადგილობრივი მაგალითის გააზრება.

გააზრებულია თვითმმართველობის არსი და როლი. აღწერილია დღევანდელი მდგომარეობა.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბოლო კვლევების დაყრდნობით და საკუთარი დაკვირვების გათვალისწინებით შეჯამებულია არსებული მდგომარეობა.

ნაჩვენებია ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოკლე შედარება მუნიციპალიტეტების ერთეულების მიხედვით. ასევე მოყვანილია ჩრდილოეთ მაკედონიის, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის პარალელები. სიღრმისეულად მადრიდის მუნიციპალიტეტის ელექტრონული მმართველობის წარმატების მაგალითი.

ხაზგასმულია ძალაუფლების გადანაწილების დადებითი და უარყოფითი მხარეები.